
ტექსტოლოგიური კვლევანი

Textual Researches

მაია არველაძე

ელისაბედ ზარდიაშვილი

(საქართველო, თბილისი)

ბოლო შტრიხები ბარათაშვილის პორტრეტის დასრულებისთვის

XIX საუკუნეში დაბადებულ ქართველ მწერლებს გენეტიკურ კოდად უიღბლო-ბა ებედებოდათ. განსაკუთრებით ეს ითქმის ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რომელსაც ბედმა დაბადებიდანვე ყველაფერი უბოძა: კეთილშობილი წარმომავლობა, სიმდიდრე, დაუდეგარი, მიზანსწრაფული და მტკიცე ხასიათი, გარეგნობა და, რაც მთავარია, უკიდევანო ნიჭი... მონიფულობაში შესულს კი ისევ ბედმა ეს ყველაფერი ერთბაშად წაართვა და სულით ობლობისთვის და, როგორც ალ. ორბელიანი იტყოდა, „სინაღლისთვის“ გაიმეტა. თავისი სიცოცხლის ბოლო პერიოდი კი, მიუხედავად თავისი წარმომავლობისა, უკიდურეს გაჭირვებაში გაატარა.

თუმცა ამ ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, პოეტმა მოასწრო ისეთი შემოქმედების დატოვება, რომელმაც ის ერთ-ერთ უპირველეს პოეტად აქცია...

ნიკოლოზ ბარათაშვილით მეცნიერთა მრავალი თაობა დაინტერესდა. XIX-XX საუკუნეებში გამოვლინდა პოეტის ბევრი უცნობი თხზულება. მათ შესახებ შეიქმნა უამრავი ნაშრომი და გამოკვლევა, განხორციელდა ათზე მეტი მნიშვნელოვანი გამოცემა, მაგრამ მიუხედავად ამისა, „დღეისათვის არ არსებობს ბარათაშვილის შემოქმედების სრულყოფილი, თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი გამოცემა. მაშინ, როცა აღიარებულია, რომ მისი გამოჩენით ქართულ ლიტერატურაში ახალი ერა დაიწყო. იგი ევროპული რომანტიზმის ტრადიციების გამგრძელებელი და ფილოსოფიური პოეზიის ფუძემდებელია. ის ტოლს არ უდებს მსოფლიო რომანტიკოს პოეტებს; ბაირონს, ლერმონტოვს, ჰიუგოს. ბარათაშვილი ითვლება ახალი ქართული პოეზიის რეფორმატორად“ (გაბოძე 2018: 40). უნდა ვაღიაროთ, რომ ინტერესი პოეტის მიმართ დღემდე არ განელებულა. მიუხედავად ასეთი სკრუპულოზური კვლევისა, მის ბიოგრაფიასა თუ შემოქმედებაზე მუშაობისას კიდევ შეიძლება სიურპრიზებს გადავანწყდეთ.

გრიგოლ აბაშიძე წერდა: „ახლა ბარათაშვილის წიგნებისთვის რაიმე უცნობისა და ახლის მიმატების იმედი ნაკლებად არის, რადგანაც ის კერები, სადაც მისი ავტოგრაფების არსებობა იყო საფიქრებელი, უკვე აღარ არსებობენ“ (ლოლაშვილი 2005: 10).

ამ მოსაზრებას საფუძველს აცლის კლასიკოსთა აკადემიური გამოცემების პრაქტიკა. ისეთ მწერალთა შემოქმედება, როგორებიც არიან ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი და ა.შ., დღესაც მდიდრდება სხვადასხვა ჟანრის თხზულებებით. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ილიას აკადემიურ ანთომეულს დაემატა კიდევ ათი ტომი და გამოვიდა თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. აკაკის თხუთმეტტომეული გაიზარდა ოც ტომამდე. ასევე ვაჟას შემოქმედებას დაემატა უამრავი ნაწარმოები. არქივში ინახება და ჯერაც არ გამოქვეყნებულა ალ. ყაზბეგის ბევრი თხზულება და სხვ. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი მასალები არ იბეჭდებოდა მათი მდარე ხასიათის გამო და ისინი მხოლოდ მოცულობით ავრცობენ აღნიშნულ მწერალთა გამოცემებს. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ამ ახლად მიკვლეულ მასალებში ურევია სხვადასხვა ჟანრის შედეგები (ლექსები, პოემები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები).

სწორედ ეს გამოცდილება გვაფიქრებინებს ტექსტოლოგებს, რომ არქივების გულდასმით შესწავლას აუცილებლად უნდა მოჰყვეს შედეგი...

იონა მეუნარგიას მცდელობას ნ. ბარათაშვილის შესახებ ცნობების მოსაგროვებლად და მისი არქივის შესასწავლად, რაც 1884 წელს მისი განჯაში გამგზავრებით გამოიხატა, უშედეგოდ არ ჩაუვლია. ის არქივში არ შეუშვიათ შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვის გარეშე და რაც ყველაზე მთავარია, მეუნარგიას ცნობით „მაზრის არქივი გუბერნიაში გადაუტანიათ“ (მეუნარგია 1968: 43). ეს ფრაზა მრავლისმეტყველია, რადგან განჯის მაზრა მაშინ ერევნის გუბერნიაში შედიოდა.

დღეისათვის მეცნიერთა გამოკვლევებში კარგად არის ასახული, თუ ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და პირადი წერილების რომელი ავტოგრაფები და ნუსხები არსებობს არქივებში და რომლები ითვლება დაკარგულად („ივერიელი“, „ასტრა“, „იულიუს ტარანტელი“, რუსული სტატიები, ყრმობისდროინდელი ეპიგრამები, **1844-1845 წლების ნაწერები**, ლევან მელიქიშვილის ნაქონი ლექსები და სხვა მასალები, ალ. ჩიქოვანის მიერ გადანერილი ლექსები, პლ. იოსელიანისთვის გადაცემული საისტორიო ხასიათის ნაშრომი, ზოგიერთი თხზულების ავტოგრაფი და ა.შ.). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნაშრომი შალვა ჩხეტიასი, რომელმაც დიდხანს „უკირკიტა“ საქართველოს ეროვნული არქივის ფონდებს და მიაკვლია მდიდარ მასალას პოეტის ცხოვრების შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ არის გამორიცხული, რომ მკვლევართა გულმოდგინე მუშაობის შედეგად კიდევ გამოვლინდეს უცნობი მასალები პოეტის შესახებ, თუნდაც იმავე ფონდებში, რადგან დროის გასვლის შემდეგ აღუწერელი ფონდებიდან ხშირად ემატება ახალი უკვე არსებულსა და გამოქვეყნებულს.

თუმცა რაიმე ახალი დეტალის მიკვლევამდეც საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ბიოგრაფიის ამსახველი უკვე გამოვლენილი მასალებიც მრავალ საინტერესო ცნობას გვანვდის პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ილია ჭავჭავაძის, ივანე გომართელის, დავით კარიჭაშვილის გამოკვლევათა მიხედვით შედგენილ ნიგნში (ჭავჭავაძე... 1910), ასევე იონა მეუნარგიას (მეუნარგია 1968), კონსტანტინე მამაცაშვილის ცნობების (მამაცაშვილი 1881) მიხედვით, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღად 1816 წლის 22 ნოემბერია მიჩნე-

ული. დაბადების ეს თარიღი ჰქონია, აგრეთვე, დიდუბეში ბარათაშვილის ძეგლსაც, რომელიც 1905 წელს აღუმართავთ. პავლე ინგოროყვა (ინგოროყვა 1966: 23) და ბევრი სხვა მკვლევარი კი პოეტის დაბადების თარიღად 1817 წლის 22 ნოემბერს მიიჩნევენ; 1945 წლის გამოცემაში კი პ. ინგოროყვა 15 დეკემბერსაც უთითებს. (ინგოროყვა 1945: 18).

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ საბუთებში ინახება მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების მოწმობის (ე.წ. „მეტრიკის“) გასაცემად შედგენილ კითხვარებს წარმოადგენს. ისინი 1835 წლის ოქტომბერ-ნოემბრით არის დათარიღებული. კითხვარები შედგენილია ნიკოლოზის მამის, მელიტონის, საქართველოს ეგზარქოსის, ევგენის, დავით ბარათაშვილის, კოლეგიის მრჩევლის („კოლეჟსკი სოვეტნიკი“) ლუარსაბ სუმბათაშვილის, ტიტულოვანი მრჩევლის მელიქზადე ბებუთოვის ჩვენებების მიხედვით. ისინი აღნიშნავენ, რომ ნიკოლოზი დაბადებულა 1817 წლის 15 დეკემბერს, ხოლო იმავე წლის 20 დეკემბერს მოუნათლავთ ანჩისხატის ეკლესიაში (ფ. 138, ს. 4953, ფურც. 3-4, 8-14; ფ. 117, ს. 2029, ფურც. 18). აღნიშნულ დოკუმენტებს თან ახლავს დავით ბარათაშვილის, ლუარსაბ სუმბათაშვილის, ეფრემ მღვდლის, მელიქზადე ბებუთოვის ფიცითი აღთქმები, რომლებიც მათ ჩამოართვეს ნ. ბარათაშვილის „მეტრიკული“ მოწმობისთვის საჭირო ცნობების დასადასტურებლად (იქვე). 1835 წლის 13 დეკემბერს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ მიიღო დადგენილება მელიტონ ბარათაშვილისთვის მისი შვილის, ნიკოლოზის, „მეტრიკული“ მოწმობის მიცემის შესახებ, რომელშიც პოეტის დაბადების თარიღად აღნიშნულია 1817 წლის 15 დეკემბერი (ფ. 138, ს. 4953, ფურც. 15-18). 1835 წლის 24 დეკემბერს მელიტონი უკვე ხელზე იღებს დაბადების ცნობას, რომელშიც დაბადების თარიღთან ერთად ტატოს მონათვლის თარიღიც არის მითითებული (ფ. 138, ს. 4953, ფურც. 19). მიუხედავად იმისა, რომ დაბადების მოწმობასთან დაკავშირებული ყველა საბუთი 1940 წელს უ. „ჩვენს თაობაში“ (№4, გვ. 57-63) დაიბეჭდა, გვანტერესებს, რატომ არის კითხვები დაბადების თარიღთან დაკავშირებით?

დაბადების მოწმობის აღების თარიღი ემთხვევა ნ. ბარათაშვილის „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების“ დაწყების პერიოდს. საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ „მეტრიკულის“ გაცემიდან რამდენიმე დღეში – 1836 წლის 3 იანვარს – საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიცია მიმართავს აღმასრულებელ ექსპედიციას ნ. ბარათაშვილის სამსახურში მიღების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (ფ. 156, ს. 7294, ფურც. 2). ზემოაღნიშნული საბუთის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია, გავაქარწყლოთ ალექსანდრე სიგუას მოსაზრება, თითქოს ნ. ბარათაშვილს გიმნაზია 1836 წელს დაუმთავრებია (სიგუა 1989: 25). იონა მეუნარგიაც (მეუნარგია 1968: 18) და სხვა მკვლევრები გიმნაზიის დამთავრების თარიღად 1835 წელს მიიჩნევენ, რასაც ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები ადასტურებს.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული საბუთები ბევრ საინტერესო ცნობას გვანვდის პოეტის ცხოვრებაზე. ერთი შეხედვით უმნიშვნელო, ბიუროკრატიული

ხასიათის დოკუმენტშიც კი შეიძლება ისეთი ნიუანსი აღმოჩნდეს, რომელიც კიდევ უფრო მეტ სინათლეს მოჰფენს პოეტის ბიოგრაფიას.

ასეთ, თითქოსდა, უმნიშვნელო საბუთთაგანს წარმოადგენს მე-19 საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთის მიერ დაწესებული უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციის კანცელარიის მოხელეთა მიერ პერმანენტულად შესავსები ე.წ. ფორმულარული სიები, რომლებიც დღევანდელი CV-ის იდენტურია. შემონახულია ნ. ბარათაშვილის მიერ შევსებული 4 ფორმულარული სია, რომელთა მიხედვითაც დაწვრილებით შეგვიძლია აღვადგინოთ მისი ცხოვრების მძიმე დღეები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1836 წლის 3 იანვარს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციამ ბარათაშვილის სამსახურში მიღების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიმართა აღმასრულებელ ექსპედიციას. ერთ-ერთ ე.წ. ფორმულარში, რომელიც 1837 წელს არის შევსებული, კითხვაზე, როდის შეუდგა სამუშაოს ნ. ბარათაშვილი, პასუხი შემდეგია: თბილისის გიმნაზიის სასწავლო კურსის წარჩინებით დამთავრებისას ნ. ბარათაშვილი 1835 წლის 6 ნოემბერს სამსახურს იწყებს უმაღლეს ქართულ მთავრობაში სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციაში. ის მოხსენიებულია საკანცელარიო მოხელეთა სიაში. 1836 წლის 18 იანვარს ნიკოლოზს კანცელარიის თანამშრომლის ნოდება მიენიჭა (ფ. 3, ს. 5001, ფურც. 65-66).

1839 წელს შევსებულ ფორმულარში იმავე კითხვაზე ნ. ბარათაშვილის სამსახურებრივ ბიოგრაფიას ემატება შემდეგი: 1838 წელს სამთავრობო სენატის №5947 გადაწყვეტილებით იგი მიიღეს კოლეგიის უფროსი რეგისტრატორის თანამდებობაზე (1838 წლის 6 ნოემბერს), ხოლო 1839 წლის 12 ივლისს დანიშნეს მაგიდის უფროსად სათავადაზნაურო საქმეების განხრით (ფ. 156, ს. 5988, ფურც. 19).

1840 წლის 16 ოქტომბრით დათარიღებულ ფორმულარში ისევ იმავე კითხვაზე გაცემული პასუხით ვიგებთ, რომ 1836 წლის 18 იანვარს დაჯილდოების შემდეგ ტატო გლეხთა საქმეების მწერლად გადაიყვანეს (ფ. 156, ს. 446, ფურც. 82). ამის შემდეგ, 1839 წლის 15 დეკემბერს, ნიკოლოზი დანიშნეს მაგიდის უფროსად სააპელაციო განხრით. 1840 წლის 21 მარტს კი საკუთარი თხოვნის, ანუ განცხადების საფუძველზე, ჯანმრთელობის გაუარესების (по болезненному здоровью) გამო გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და ის დატოვეს მხოლოდ საკანცელარიო მოხელეთა რიცხვში. 1840 წლის 5 სექტემბერს ნ. ბარათაშვილი დანიშნეს მეორე განყოფილების მეოთხე მაგიდის მწერლად (იქვე).

ბოლო ფორმულარი, რომელიც ცენტრალურ არქივში ინახება, დათარიღებულია 1843 წლის 13 აგვისტოთი (ფ. 156, ს. 254, ფურც. 53-57). სამსახურებრივი გამოცდილების შესახებ დასმულ კითხვაზე სამუშაო ბიოგრაფიას ასეთი ფრაზა ემატება: 1838 წლის 3 თებერვალს სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატაში მომხდარი ხანძრის დროს ნ. ბარათაშვილს თავი გამოუჩინია, რისთვისაც იმავე წლის 1-ლ აგვისტოს მას საყოველთაო აღიარება და მადლობა გამოუცხადეს. რაც შეეხება მეორე განყოფილების მეოთხე მაგიდის მწერლად დანიშვნის თარიღს, აღნიშნულ ფორმულარში მითითებულია 1840 წლის 27 ნოემბერი და არა 5 სექტემბერი, როგორც ეს წინა ფორმულარში ამოვიკითხეთ. ისევ საარქივო მასალებიდან ვარკვევთ, რომ 27 ნოემბერს ბარათაშვილი ამ თანამდებობაზე ოფიციალურად

დაინიშნა, მხოლოდ 1841 წლის 1 იანვრიდან საქმიანობისთვის შედგომის პირობით (ფ. 173, ს. 20742, ფურც. 1). 1843 წლის 13 აგვისტოს ფორმულარი შემდეგნაირად მთავრდება: 1843 წლის 26 იანვრის №1223 დადგენილებით სამთავრობო სენატმა ნ. ბარათაშვილი გუბერნიის უფროს მდივნად დანიშნა.

ფორმულარების გარდა საქართველოს ეროვნულ არქივში ნ. ბარათაშვილის სამსახურებრივი საქმიანობის დამადასტურებელი 50-ზე მეტი საბუთი და დოკუმენტია. ამ დოკუმენტებიდან პოეტის „ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულ“ სამსახურში დახარჯული ძვირფასი დროის დანვრილებითი სურათი იხატება. ათზე მეტი საბუთი მხოლოდ ტატოს მიერ შედგენილი სამსახურებრივი პატაკებია, რომლებიც მოქალაქეთა დაჭერებს, მკვლევლობების აღწერას, ვალების გაგრძელების თხოვნებს, მწყემსთა პრობლემებს, დუქნების გაქირავებებსა და სხვა საქმიანობას ასახავს. ცხადია, ეს დოკუმენტები პოეტური შემოქმედებისა თუ რომანტიკული განწყობისათვის მეტად უინტერესო, შეუსაბამო და ფუჭ შინაარსს შეიცავს. ზოგიერთი მათგანი ოცამდე გვერდის ოდენობისაც კია.

სამახურებრივ საბუთებში ერთ-ერთი, 1845 წლის 25 სექტემბრით დათარიღებული, ნ. ბარათაშვილის მიერ შედგენილი პატაკია (ფ. 10, ს. 4211, ფურც. 127), რომელიც ტატოს მიერ ხელმოწერილ ბოლო საბუთს წარმოადგენს. ამის შემდგომ, ამავე წლის 4 ოქტომბრით დათარიღებულ საბუთს ხელს უკვე სევარსამიძე აწერს (იქვე).

ცენტრალურ არქივში დაცული 1845 წლის 30 ოქტომბრით დათარიღებული დოკუმენტი ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსის გენერალ ლადინსკისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ყიფიანის (როგორც პაატა გუგუშვილი (გუგუშვილი 1937: 137) და შალვა ჩხეტია (ჩხეტია 1945: 348) ვარაუდობენ, ეს დიმიტრი ყიფიანი უნდა იყოს) მიერ. მეფისნაცვლის, მ. ვორონცოვისადმი დაწერილი მოხსენება ეხება გარდაცვლილი ნ. ბარათაშვილის ოჯახისთვის ერთდროული დახმარების გაცემას (ფ. 30, ს. 14412, ფურც. 1). ეს პირველი საბუთია პოეტის შესახებ მისი გარდაცვალების შემდეგ. საბუთის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ დამბლადაცემული თავადი მელიტონ ბარათაშვილი თავად ვარშავსკის შუამდგომლობით წლიურად 900 ვერცხლის მანეთს იღებდა, მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მელიტონის ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ოჯახს ეს თანხა არც ბინის ქირის გადასახდელად და არც გამოსაკვებად არ ჰყოფნიდა. გარდა ამისა, მძიმე მატერიალური მდგომარეობა ნიკოლოზის მშობლებს წესისამებრ სამგლოვიარო სამოსის შეძენის საშუალებასაც არ აძლევდა. განმცხადებლები ითხოვდნენ, პირველად დახმარებად ოჯახისთვის 50 ჩერვონეცი (=150 მან.) და გარდაცვლილი ნიკოლოზის ერთი წლის ხელფასი, 750 მანეთი, გადაეცათ.

ტატოს გარდაცვალების შემდგომ მისი სახელის ირგვლივ ბიუროკრატიული საბუთების შექმნა გარკვეული ხანი კიდევ გრძელდებოდა, სანამ მეფისნაცვალი 1845 წლის 11 დეკემბერს ნ. ბარათაშვილის ოჯახისთვის ერთდროული დახმარების გაცემის შესახებ №3838 განკარგულებას მოაწერდა ხელს (ფ. 30, ს. 14412, ფურც. 2). არსებობს ორი საბუთი, რომლებიც 1844 წლის ნომბერში ნ. ბარათაშვილისთვის

სამივლინებოდ გაცემული 22 მანეთისა და 74 კაპიკის (ვერცხლით) ბედს პოეტის გარდაცვალების მერე არკვევდნენ. სავარაუდოა, რომ დახმარების თანხის გაცემამდე უნდა დაემტკიცებინათ პოეტის მიერ სამივლინებო ფულის კანონიერი გახარჯვა, რომ საჭიროების შემთხვევაში დასახმარებელი თანხიდან გარკვეული რაოდენობა დაქვითულიყო. საქმე ის არის, რომ 1844 წლის 25 ნოემბერს ბარათაშვილი დანიშნეს ნახიჭევანის მაზრის მმართველის მელიქიშვილის თანაშემწედ. სამივლინებოდ ნახიჭევანიდან თბილისში გასამგზავრებლად ნიკოლოზის სახელზე გასცეს 22 მანეთი და 74 კაპიკი ვერცხლით. ფული გაიცა მაზრის სამტატო თანხიდან. ნახიჭევანის მაზრის მმართველი მელიქიშვილი მალევე მოხსნეს თანამდებობიდან და ბარათაშვილი მის მოადგილედ აღარ დაამტკიცეს. იონა მეუნარგიას ცნობით, მელიქიშვილი დაბრუნდა თბილისში და ნიკოლოზიც თან გამოიყოლა, რადგან მას ნახიჭევანში „კარტში“ ფული ჰქონდა წაგებული (200 მანეთი) და ვალებს გამოარიდა (მეუნარგია 1968: 39). ბარათაშვილის „კარტში“ წაგებული ვალების შესახებ ჯერ-ჯერობით მოძიებული საარქივო მასალები არაფერს გვეუბნება, სამაგიეროდ ცნობილია სხვა ვალების შესახებ. სწორედ აქედან იღებს სათავეს **ჭორი ვალების შესახებ**. გუბერნიის მმართველობამ ნიკოლოზის მივლინება არ გააუქმა, ამიტომ კანონის თანახმად ტატოს შეეძლო თანხის დახარჯვა თბილისიდან ნახიჭევანში დასაბრუნებლად. ნიკოლოზმა ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა.

თანხასთან დაკავშირებით არსებული გაუგებრობა გამოიწვია ფულის არასწორმა გაცემამ. ის არა მაზრის სამტატო თანხიდან, არამედ მაზრის ხაზინიდან უნდა გაცემულიყო (ფ. 9, ს. 3770, ფურც. 25-27).

აღნიშნული ძიება 1845 წელს 5 ნოემბრიდან 28 ნოემბრამდე გაგრძელდა. 28 ნოემბერს მ. ვორონცოვმა საქართველო-იმერეთის საგუბერნიო სამმართველოს გაუგზავნა მიწერილობა №3463 ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის ნახიჭევანის მაზრის სამმართველოდან გაცემული გზის ფულის (22 მან. 74 კაპიკი ვერცხლით) დაბრუნების შესახებ (იქვე, ფურც. 28).

ამის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 11 დეკემბერს ვორონცოვმა გარდაცვლილი პოეტის ოჯახისთვის დახმარების გაცემის განკარგულებას მოაწერა ხელი. თუმცა, 1846 წლის 28 თებერვალს ნიკოლოზის მამა მელიტონი მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის სახელზე წერს წერილს ერთდროული დახმარებიდან დარჩენილი თანხის გაცემის შესახებ (ფ. 30, ს. 14412, ფურც. 3, 4). წერილის პირველი გვერდის მარცხენა არშიაზე მიწერილია შემდეგი რეზოლუცია: „მიეცეს 50 ჩერვონეცი (=150 მანეთი) ღარიბ მოხელეთა შემწეობის თანხიდან“. როგორც ირკვევა, ერთდროული დახმარება ოჯახისთვის სრულად მაინც არ მიუციათ. ამის მიზეზი ისევ ზემოთ მოყვანილ საქმეში (ფ. 30, ს. 14412) უნდა ვეძიოთ, რომლის სათაურის მეორე ნაწილი ასე იკითხება: „აქვე, გუბერნიის თავმჯდომარის მიერ თავად ბარათაშვილისთვის 245 ვერცხლის მანეთის ოდენობის ვალის პატიება“. ნ. ბარათაშვილის ეს ვალი კი ისევ 1844 წლის ნოემბრის 25 რიცხვთან გვაბრუნებს, როდესაც ტატო ნახიჭევანის მაზრის მმართველის მელიქიშვილის თანაშემწედ დანიშნეს. ნიკოლოზისთვის სახაზინო პალატას ხელფასის სახით 245 ვერცხლის მანეთი გამოუყვია. როგორც ვიცით, ამ თანამდებობაზე ნიკოლოზს არ უმუშავია

(არა თავისი მიზეზით). ეს თანხა მას სიკვდილის მერეც ვალად ედო. 1849 წლის 20 დეკემბერს სამოქალაქო ნაწილის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ ბებუთოვის მეფისნაცვლისადმი მიმართული მოხსენებიდან ვიგებთ, რომ ელიზავეტოპოლის მაზრის უფროსს პოდპოლკოვნიკ ორბელიანოვს (მამუკა ორბელიანს), 1845 წლის დეკემბერში წყალობითი შუამდგომლობით მიუმართავს გენერალ-ლეიტენანტ ლადინსკისთვის, რათა ზემოაღნიშნული 245 ვერცხლის მანეთი, როგორც ვალი, ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის მოეხსნათ, მაგრამ ამ შუამდგომლობას 1849 წლამდე არავინ გამოხმაურებია. ამიტომ ნ. ბარათაშვილის სახელზე არსებული ვალი კვლავ ირიცხებოდა და მისი გადახდა, მელიტონის ავადმყოფობის გამო, გარდაცვლილის დედას – ეფემიას ეკისრებოდა. 1849 წლის 20 დეკემბერს კი ბებუთოვი, იცნობდა რა პირადად მელიტონს და, ალბათ, ითვალისწინებდა ცოლის (ეფემიას) გარდაცვალებით (გარდაიცვალა 1849 წლის 4 თებერვალს) გამოწვეულ ოჯახურ მდგომარეობასაც, ხელს აწერს აღნიშნული ვალის გაუქმების ბრძანებას (ფ. 30, ს. 14412, ფურც. 11-14). ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ 1849 წლის 31 დეკემბერს დაადასტურა მ. ვორონცოვმა, ხაზი გაუსვა რა, რომ აღნიშნული ვალის ხაზინაში შეტანის არანაირი იმედი და შესაძლებლობა არ არსებობდა (იქვე, ფურც. 15).

გარდაცვლილ ბარათაშვილს გაუბათილდა ხაზინის ვალები, მაგრამ ვალები დარჩა მელიტონს, რომელსაც გარდაცვალებამდე, 1850 წლამდე, ყოველ ოთხ თვეში 100 ვერცხლის მანეთი ექვითებოდა ვარშავისკის შუამდგომლობით დანიშნული წლიური 900 ვერცხლის მანეთიდან (ფ. 30, ს. 289, ფურც. 3).

ჩვენ მიერ განხილული ფაქტები ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის სულ რამდენიმე შტრიხია იმ მასალებიდან, რომლებიც არქივში ინახება პოეტის შესახებ, მაგრამ ეს საარქივო მასალები პოეტის არც ერთ კრებულში შეტანილი არ არის და არც ბიოგრაფიული დეტალებია შევსებული ასეთი დეტალებით, რაც ძალიან სამწუხაროა, რადგან მსგავს ფაქტებს ბევრი საინტერესო შტრიხის შემატება შეუძლია პოეტის ისედაც მრავალნახნავოვანი პორტრეტისთვის. ბიოგრაფიული დეტალები კი აუცილებელი ფაქტორია პოეტის შემოქმედების შესასწავლად. როგორც გიორგი ლეონიძე აღნიშნავდა, ადამიანის პირადი ცხოვრება არის საფუძველი მისი შემოქმედებისაო. ამ აზრს მრავალი მკვლევარი ეთანხმება. იაკობ ფანცხავა ალექსანდრე ჭავჭავაძის სრულყოფილი ბიოგრაფიის უქონლობის გამო წუხდა და აღნიშნავდა: „არის ერთგვარი მიმართულება კრიტიკაში, რომელიც ავტორის ბიოგრაფიას დიდ მნიშვნელობას აძლევს, არა მცირედ ადგილს ანიჭებს, რათა ამ ავტორის სულიერი მადლის სიღრმე, სიდიადე ზედმიწევნით შეიგნოს და შეისწავლოს. კაცმა რომ თქვას, ეს მიმართულება სრულიად სამართლიანია... ავტორის შესწავლას ცალკერძობა დაემჩნევა, თუ მარტოოდენ მისი თხზულებით ვიხელმძღვანელებთ. ღირს კი კვლევად და ძიებად, რომ შევიგნოთ, შევისწავლოთ სულის სიდიადე ისეთი კაცისა, ისეთი ადამიანისა, რომელიც უზენაესი მადლით, შემოქმედებითი ნიჭით და აღმაფრენით არის აღბეჭდილი! ან რა შეედრება ამ ყოვლად უანგარო ძიებას?“ (ფანცხავა 1980: 9).

ნიკოლოზ ბარათაშვილი სწორედ იმ უზენაესი მადლით დაჯილდოებული შემოქმედია, რომლის ბიოგრაფიაც იმსახურებს „უანგარო ძიებას“, რათა აღვადგინოთ

დიდი პოეტის ცხოვრების არა თითოეული წელი, თვე ან დღე, არამედ თითოეული წუთი და წამიც კი, რათა შთამომავლობამ იცოდეს, თუ რა მძიმე პირობებში იქმნებოდა ის შემოქმედება, რომლითაც ასე ვამაყობთ და რომელიც საქართველოს ფასდაუდებელ სულიერ სიმადიდრეს წარმოადგენს.

ნ. ბარათაშვილის მოღვაწეობის ბოლო წლების ნამუშევრები დაკარგულად ითვლება (იმედია, განადგურებული არ არის) და ბედნიერი იქნება ის მკვლევარი, რომელიც მათ მიაგნებს და დღის სინათლეზე გამოიტანს. მანამდე კი უნდა ითარგმნოს უკვე არსებული საარქივო დოკუმენტები, პოეტის ბიოგრაფია შეივსოს მათში დაცული საინტერესო ფაქტებით, რათა შეიქმნას მისი დასრულებული ბიოგრაფიული პორტრეტი მაინც.

დამონებიანი:

ბარათაშვილი 1966: ბარათაშვილი, ნ. *თხზულებანი*. თბილისი: 1966.

გაბოძე 2018: გაბოძე, ჯ. *ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემისთვის*. ხაშურის სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ხაშური: 2018.

გუგუშვილი 1937: გუგუშვილი, პ. *ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისთვის, ახალი მასალები*. ჟ. „მნათობი“, №4, 1937.

ინგოროყვა 1966: ინგოროყვა, პ. *ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი*. თბილისი: 1966.

ლოლაშვილი 2005: ლოლაშვილი, ი. *ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზ. სრ. კრებული* (ლ. თაქთაქიშვილის საერთო რედაქციით). თბილისი: 2005.

მამაცაშვილი 1881: მამაცაშვილი, კ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. გაზ. „დროება“, №26, 1881.

მეუნარგია 1968: მეუნარგია, ი. *ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა*. თბილისი: 1968.

სიგუა 1989: სიგუა, ა. *მინდა მზე ვიყო*. თბილისი: 1989.

ფანცხავა 1980: ფანცხავა, ი. *რჩეული ნაწერები*. თბილისი: 1980.

ჩხეტია 1948: ჩხეტია, შ. *ნიკოლოზ ბარათაშვილი. მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ*. ტ. I. თბილისი: 1945.

ჭავჭავაძე ... 1910: ჭავჭავაძე, ი, გომართელი, ი, კარიჭაშვილი, დ. *ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები*. თფილისი: 1910.

Maia Arveladze
Elisabed Zardiashvili
(Georgia, Tbilisi)

The Final Touches to Complete the Portrait of Baratashvili

Summary

Key Words: Baratashvili's unknown works, details of the poet's biography, archival documents.

In XIX-XX centuries many of Nikoloz Baratashvili's unknown works were discovered, multiple studies highlighting them were conducted, dozens of important publications came out. However, none of the editions includes the documentary materials preserved at the National Archives of Georgia. These materials contain hitherto unknown details of the poet's biography such as: questionnaires for issuing N. Baratashvili's birth certificate and date of issue; protocols on the commencement of "official duties" and holding of various positions; official lists that are identical to today's CV; acknowledgement for courage; papers reflecting precious time wasted on "bureaucratic" officialdom activities, etc.

It is high time to prepare a scholarly edition of the works of the poet-romanticist, a founder of a new era in Georgian literature who is recognized on a par with Byron and Hugo, which meets the modern standards and encompasses in it the archival documents. This can add many interesting details to the unusual portrait of the poet.